

შპს ლიდერ - ფუდი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თბილისი, 2022

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


წინამდებარე ანგარიშის მიზანია, წარმოადგინოს შპს „ლიდერ-ფუდის“ (შემდგომში კომპანია) მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად და ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- მსს ფასს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 21 აპრილს.

შპს „ლიდერ-ფუდის“ დირექტორი:  შირიმი ვეკუა

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, წარმოადგინოს შპს „ლიდერ-ფუდის“ (შემდგომში კომპანია) მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად და ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- მსს ფასს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 21 აპრილს.

შპს „ლიდერ-ფუდის“ დირექტორი:

შირიმი ვეკუა

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	10
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	12

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	13
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღირცხვო პოლიტიკა	13
3. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21
4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
5. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	22
6. ძირითადი საშუალებები	23
7. არამატერიალური აქტივები	24
8. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები	24
9. მარაგები	25
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
13. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	26
14. ფინანსური რისკის მართვა	26
15. პირობითი ვალდებულებები	29
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	29

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ლიდერი-ფუდის“ ხელმძღვანელებს და მეწილეებს,

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლიდერი-ფუდის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც წარმოადგენს კომპანიის პირველ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და შედეგა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, დასკვნის „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, მოცემული ფინანსური ანგარიშგება, მსს ფასს-ის შესაბამისად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად და სრულად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

- 1) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული მარაგების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით. მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მარაგების რაოდენობაზე და ღირებულებაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა მარაგებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ დავადასტურეთ აღნიშნულ მარაგებთან დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი;
- 2) ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ძირითადი საშუალებების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით. არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის. ასევე, აუდიტის პროცესში ვერ მოვიპოვეთ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის აქტი. კომპანიის ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ

შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მოძრავი და უძრავი ძირითადი საშუალებების რაოდენობაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ დავადასტურეთ აღნიშნულ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ცვეთის ხარჯი;

- 3) ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს სისრულის თაობაზე. ჩვენ ვერ მივიღეთ დასტურის წერილები კომპანიის დებიტორებისგან და კრედიტორებისგან. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, ასევე სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლებთან მიმართებით 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით;
- 4) ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული საგადასახადო აქტივების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით.

ხსენებული გარემოებები ცალ-ცალკე ან ერთობლივად, ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითიცაა და ყოვლისმომცველიც.

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. აგრეთვე, ვასრულებთ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს, რომლებიც აღნიშნული კოდექსით არის განსაზღვრული. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიამ ზარალით დაასრულა 2020 და 2019 წლები და მიღებულმა ზარალმა შეადგინა 1,409,131 და 673,282 ლარი, შესაბამისად. აგრეთვე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიანი ვალდებულებები აღემატება მოკლევადიან აქტივებს 1,802,991 ლარით.

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ექვს ბაზებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში არის უარყოფითი.

სხვა ინფორმაცია

ჩვენს პასუხისმგებლობას წარმოადგენს, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სფეროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წარმოადგენს, შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ

არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მივმართავთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვახორციელებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებას. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლის სისტემას რათა დავგეგმოთ აუდიტორული პროცედურები რომლებიც არის შესაფერისი კონკრეტულ გარემოებებთან, მაგრამ არა იმ მიზნით რომ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე გამოვთქვათ მოსაზრება;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას. ასევე, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- დასკვნა გამოგვაქვს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. აუდიტორის დასკვნაში ვალდებულები ვართ, რომ ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე იმ შემთხვევაში თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი

მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად. ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტორული დასკვნის გამოცემის თარიღამდე, კომპანიას არ მოუმზადებია მმართველობის ანგარიშგება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

ლევან ბერიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-660546)

შპს „ჯიემ კონსალტინგის“ სახელით

თბილისი, საქართველო, 21 აპრილი, 2022 წელი

მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. სხვა საკითხებთან ერთად, ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტორული დასკვნის გამოცემის თარიღამდე, კომპანიას არ მოუმზადებია მმართველობის ანგარიშგება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

ლევან ბერიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-660546)

შპს „ჯიემ კონსალტინგის“ სახელით

თბილისი, საქართველო, 21 აპრილი, 2022 წელი



შპს „ლიდერ-ფუდი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები		30,249,069	22,032,912
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3	(24,094,549)	(17,569,173)
საერთო მოგება		6,154,520	4,463,739
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4	(3,219,387)	(1,906,658)
ცვეთა და ამორტიზაცია		(790,942)	(479,155)
შრომის ანაზღაურება		(2,512,212)	(2,169,072)
კომუნალური ხარჯი		(754,860)	(477,009)
სხვა საერთო ხარჯები		(19,765)	(4,545)
საოპერაციო მოგება		(1,142,645)	(572,700)
არასაოპერაციო შემოსავლები	5	536,278	174,427
არასაოპერაციო ხარჯები	5	(802,765)	(275,008)
მოგება დაბეგვრამდე		(1,409,131)	(673,282)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(1,409,131)	(673,282)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		(1,409,131)	(673,282)


2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 21 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



შირიმი ვეკუა

მთავარი ბუღალტერი



ოთარ კუჭავა

13-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლიდერ-ფუდი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები		30,249,069	22,032,912
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3	(24,094,549)	(17,569,173)
საერთო მოგება		6,154,520	4,463,739
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4	(3,219,387)	(1,906,658)
ცვეთა და ამორტიზაცია		(790,942)	(479,155)
შრომის ანაზღაურება		(2,512,212)	(2,169,072)
კომუნალური ხარჯი		(754,860)	(477,009)
სხვა საერთო ხარჯები		(19,765)	(4,545)
საოპერაციო მოგება		(1,142,645)	(572,700)
არასაოპერაციო შემოსავლები	5	536,278	174,427
არასაოპერაციო ხარჯები	5	(802,765)	(275,008)
მოგება დაბეგვრამდე		(1,409,131)	(673,282)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(1,409,131)	(673,282)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		(1,409,131)	(673,282)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 21 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

შირიმი ვეკუა

მთავარი ბუღალტერი

ოთარ კუჭავა

13-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლიდერ-ფუდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	2,949,680	2,562,453	1,163,559
არამატერიალური აქტივები	7	85,485	83,798	41,660
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,035,165	2,646,251	1,205,219
მიმდინარე აქტივები				
საგადასახადო აქტივები	8	440,442	212,090	161,407
მარაგები	9	3,960,941	2,874,728	1,355,952
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	870,653	415,002	272,469
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	215,799	749,518	394,500
სულ მიმდინარე აქტივები		5,487,836	4,251,339	2,184,328
სულ აქტივები		8,523,001	6,897,590	3,389,547
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		5,791,777	5,791,777	3,591,167
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(4,559,604)	(3,150,472)	(2,477,191)
სულ კაპიტალი		1,232,174	2,641,305	1,113,976
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	7,290,827	4,256,285	2,275,571
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,290,827	4,256,285	2,275,571
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,523,001	6,897,590	3,389,547

13-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლიდერ-ფუდი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2019 წლის 1 იანვარი	3,591,167	(2,477,191)	1,113,976
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება	2,200,610	-	2,200,610
წლის სრული შემოსავალი	-	(673,282)	(673,282)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	5,791,777	(3,150,472)	2,641,305
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	(1,409,131)	(1,409,131)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	5,791,777	(4,559,604)	1,232,174

13-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2020 წელი	2019 წელი
ფულადი შემოსავლები მიწოდებული საქონლიდან	34,281,528	24,799,086
ფულადი შემოსავლები არასაოპერაციო საქმიანობიდან	1,061,748	748,096
გადახდილი ხელფასები	(1,956,749)	(1,599,924)
საოპერაციო ხარჯებისთვის გადახდილი თანხები	(30,609,353)	(23,584,683)
საპენსიო შენატანებზე გადახდილი თანხები	(76,073)	(55,350)
სხვა საოპერაციო ხარჯებზე გადახდილი თანხები	(893,693)	(463,361)
გადახდილი გადასახადები	(1,115,503)	(563,434)
საბანკო მომსახურებისთვის გადახდილი თანხები	(152,922)	(98,655)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	538,983	(818,224)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენისთვის გადახდილი თანხები	(1,072,701)	(1,027,368)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,072,701)	(1,027,368)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლისგან მოზიდული ფულადი სახსრები	300,000	2,200,610
დამფუძნებლის მიერ კაპიტალიდან თანხის გატანა	(300,000)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	2,200,610
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება	(533,718)	355,018
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	749,518	394,500
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	215,800	749,518

13-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლიდერ-ფუდი“ ყოფილი შპს „ეკონმიქსი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2015 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, ისანიჩეხოვის ქ., №23/22.

შპს „ლიდერ-ფუდი“ არის ძირითადი სასურსათო და პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო საქონლის საცალო ვაჭრობის მარკეტების ქსელური კომპანია. კომპანია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვებს ახორციელებდა 29 სუპერმარკეტის ტიპის მაღაზიების მეშვეობით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს ლიდერი-ფუდი (ს/ნ 206337052).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს, რომ ზემოთ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის აუდიტირებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარული წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.1 ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - „ქართული ლარი“ (GEL). შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.2766	4.0233
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.8677	3.2095

2.2 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს ბანკის შუალედურ ანგარიშზე. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.3 ამონაგების აღიარება

კომპანიის ამონაგები მოიცავს შემოსავლებს პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო საქონლის რეალიზაციიდან, რომელიც ხორციელდება საცალო ვაჭრობის მარკეტების ქსელის საშუალებით.

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება საზოგადოების მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ კომპანიის საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. კომპანია ამონაგებში არ ითვალისწინებს მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებულ ისეთ თანხებს, როგორიცაა, მაგალითად

სახელმწიფოს სახელით მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, კომპანიის ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები კომპანიის ამონაგები არ არის. ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

2.4 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

2.5 გადასახადები

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი

გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის. საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელია მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით კომპანიისთვის. ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღიარდება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან

არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მარკეტების ინვენტარი	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
სატრანსპორტი საშუალებები	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20%

2.7 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით განაკვეთით 15%. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან არჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ

სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლომატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

2.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს ლიდერ-ფუდში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა. კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა.

იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.10 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შემენის დანახარჯები მოიცავს: მისი შემენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საზოგადოებას უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებაში. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შემენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები. ზოგიერთი სახის მარაგი შეიძლება მიეკუთვნოს სხვა აქტივების ანგარიშებს, მაგალითად მარაგი, რომელიც კომპანიის მიერ გამოყენებული იყო საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების კომპონენტის სახით. სხვა აქტივზე ამგვარად მიკუთვნებული მარაგი შემდგომში აისახება წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკის იმ დებულებების მიხედვით, რომელიც ამ აქტივის ტიპის შესაფერისი იქნება.

2.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

2.12 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული

სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.13 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

2.14 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.15 კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები. კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

2.16 დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

2.17 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში (კომპანიის სამუშაო ვალუტა)

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

3. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2020 და 2019 წლების სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	23,896,580	17,376,862
დამხმარე სახარჯი მასალის თვითღირებულება	197,968	192,311
სულ:	24,094,549	17,569,173

4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 და 2019 წლების სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
მიმდინარე რემონტის ხარჯი	4,812	25,136
მარკეტინგის ხარჯები	22,092	28,763
საოფისე ხარჯები	57,315	16,260
საკომუნიკაციო ხარჯი	47,503	26,307
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	5,424	52
საჯარო რეესტრის ხარჯი	1,342	1,009
დაცვის მომსახურების ხარჯი	37,973	22,861
GPRS სალარო აპარატის მომსახურება	3,485	4,600
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	11,399	4,950
საპენსიო ხარჯი	50,244	44,752
იჯარის ხარჯი	2,658,390	1,456,857
დერატიზაციის ხარჯი	508	1,828
ავტომობილის ხარჯი	21,064	19,828
მივლინებების ხარჯები	8,841	750
სადაზღვევო ხარჯები	2,100	1,739
ბანკის მომსახურების ხარჯი	152,218	98,573
ფილიალების დასუფთავების და მოვლის ხარჯი	124,249	100,540
სხვა ხარჯი	10,428	51,856
სულ:	3,219,387	1,906,658

5. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

არასაოპერაციო შემოსავლები	2020	2019
შემოსავალი საშემოსავლო გადასახადის შეღავათიდან	267,016	-
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	11,407	9,690
საპროცენტო შემოსავალი	399	349
ინვენტარიზაციის შედეგად წარმოქმნილი ზედმეტობა	249,704	161,601
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	7,530	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	222	2,787
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	536,278	174,427
	-	-
არასაოპერაციო ხარჯები		
გაუფასურებული მოთხოვნების ხარჯი	799,186	225,101
ჯარიმები და საურავები	3,579	8,650
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	41,258
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	802,765	275,008

შპს „ლიდერ-ფუდი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მარკეტების ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ:
ბალანსი 2019 წლის 01 იანვარი	1,430,309	66,020	29,061	487,715	2,013,105
შემოსვლა	1,235,243	16,618	10,200	611,483	1,873,543
გასვლა	(4,145)	-	-	(205)	(4,350)
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	2,661,407	82,638	39,261	1,098,993	3,882,299
შემოსვლა	975,470	17,887	-	171,340	1,164,697
გასვლა	(3,194)	-	-	(275)	(3,469)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	3,633,683	100,525	39,261	1,270,057	5,043,526
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 2019 წლის 01 იანვარი	(667,724)	(36,508)	(3,932)	(141,382)	(849,546)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(373,083)	(14,220)	(6,796)	(76,200)	(470,300)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	(1,040,807)	(50,728)	(10,728)	(217,582)	(1,319,845)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(605,956)	(17,394)	(7,780)	(142,871)	(774,001)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	(1,646,763)	(68,122)	(18,508)	(360,453)	(2,093,846)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
ბალანსი 2019 წლის 01 იანვარი	762,585	29,512	25,130	346,333	1,163,559
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	1,620,599	31,910	28,533	881,411	2,562,453
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	1,986,920	32,403	20,753	909,604	2,949,680

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი შედგენს სადრიცხოვო პროგრამა APEX-ს. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება წრფივი მეთოდით 15%-იანი განაკვეთის მიხედვით.

ისტორიული ღირებულება

ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	57,458
შემოსვლა	50,993
გასვლა	-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	108,451
შემოსვლა	18,629
გასვლა	-
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	127,080

დაგროვილი ცვეთა

ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	(15,799)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(8,855)
გასული აქტივების ცვეთა	-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	(24,654)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(16,942)
გასული აქტივების ცვეთა	-
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	(41,595)

წმინდა საბალანსო ღირებულება

ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	41,660
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	83,798
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	85,485

8. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე 440,442 212,090 და 161,407 ლარის საგადასახადო აქტივების შესაბამისად.

9. მარაგები

მარაგები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
სარეალიზაციო საქონელი	3,896,334	2,823,006	1,312,069
ვადაგასული მზა პროდუქციის საწყობი	35,680	1,244	999
ნედლეული და მასალები	13,760	21,741	7,606
დაუმთავრებელი წარმოება	12,982	26,639	34,599
მზა პროდუქციის საწყობი	362	1,149	520
უკან დაბრუნებული მზა პროდუქციის საწყობი	924	144	5
საწვავის საწყობი	898	808	155
სულ:	3,960,941	2,874,728	1,355,952

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
მოთხოვნები იურდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	21,028	8,670	10,499
მოთხოვნები მარკეტინგული მომსახურებიდან	577,818	310,066	194,845
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	137,370	3,430	(149)
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	134,438	92,836	67,274
სულ:	870,653	415,002	272,469

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	127,464	199,547	272,505
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	87,801	549,481	121,505
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	533	490	490
სულ:	215,799	749,518	394,500

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
ადგილობრივი საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულება	7,046,927	3,840,739	2,200,814
ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან წარ.			
ვალდებულებები	80,763	272,996	65,229
სხვადასხვა მომწოდებლები	61,719	50,403	9,528
გადასახდელი ხელფასები	101,419	92,148	-
სულ:	7,290,827	4,256,285	2,275,571

13. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს სამაღაზიო და სასაწყობო ფართები. იჯარის ხელშეკრულების საშუალო ვადაა ხუთი წელი. თვეში ერთხელ ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები, რომლებიც 2020 და 2019 წლებში აღიარებულია ხარჯად შეადგენს 2,658,390 და 1,456,857 ლარს, შესაბამისად.

14. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკებთან, როგორებიცაა საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი ზეგავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

კომპანიის სტრატეგია არის გაფართოება და შესაბამისად, მოითხოვს თანხების დაბანდებას. თანხების მოზიდვა ხდება დამფუძნებლების მხრიდან საწესდებო კაპიტალის გაზრდის მეშვეობით. ამასთან, დამფუძნებლები გამოთქვამენ მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვაზე საწესდებო კაპიტალის გაზრდის ხარჯზე.

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	870,653	415,002	272,469
საგადასახადო აქტივები	440,442	212,090	161,407
ფული და ფულის ექვივალენტები	215,799	749,518	394,500
სულ ფინანსური აქტივები:	1,526,894	1,376,610	828,376
	-	-	-
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,290,827	4,256,285	2,275,571
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,290,827	4,256,285	2,275,571

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ექვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიხედვით საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისთვის ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- „ვადადამდგარი და გაუფასურების გარეშე“
- „ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე“ და
- „ინდივიდუალურად გაუფასურებული“

პირველი კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელიც არ არის ვადაგადაცილებული და არ ექვემდებარება გაუფასურებას.

მეორე კატეგორიაში ერთიანდება აქტივები, რომელიც არის ვადაგადაცილებული, თუმცა ობიექტური მტკიცებულება მათ გაუფასურებასთან დაკავშირებით არ გამოვლენილა. ასევე, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება აქტივები, რომელიც ვადაგადაცილებულია, თუმცა მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება და უზრუნველყოფა სრულად ფარავს აქტივის

ღირებულებას.

მესამე კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელთა გაუფასურებაზე შემოწმება ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე და იქმნება შესაბამისი რეზერვი. კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ერთ წლამდე	1-5 წლამდე	სულ:
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,290,827	-	7,290,827
მიღებული სესხები	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,290,827	-	7,290,827

ლიკვიდურობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ერთ წლამდე	1-5 წლამდე	სულ:
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,256,285	-	4,256,285
მიღებული სესხები	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,256,285	-	4,256,285

შპს „ლიდერ-ფუდი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

15. პირობითი ვალდებულებები

კომპანიას არ უფიქსირდება პირობითი ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა, რომელიც 2021 წლის განმავლობაშიც გრძელდება. COVID-19-მა გლობალურად გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მკვეთრი შეფერხება და ეკონომიკური მომავლის გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა. ვალუტის კურსის მკვეთრი უარყოფითი ცვლილება საქმიანობის დაგეგმვას და მომავლის პროგნოზირებას კიდევ უფრო ართულებს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში კომპანიამ დახურა რამოდენიმე მაღაზია.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას უფიქსირდება დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები, თუმცა ოპერაციები განხორციელებულია საბაზრო ფასები.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება კომპანიის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია 2022 წლის 21 აპრილს.

შპს „ლიდერ-ფუდის“ დირექტორი

შირიმი ვეკუა

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

15. პირობითი ვალდებულებები

კომპანიას არ უფიქსირდება პირობითი ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა, რომელიც 2021 წლის განმავლობაშიც გრძელდება. COVID-19-მა გლობალურად გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მკვეთრი შეფერხება და ეკონომიკური მომავლის გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა. ვალუტის კურსის მკვეთრი უარყოფითი ცვლილება საქმიანობის დაგეგმვას და მომავლის პროგნოზირებას კიდევ უფრო ართულებს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში კომპანიამ დახურა რამოდენიმე მაღაზია.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას უფიქსირდება დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები, თუმცა ოპერაციები განხორციელებულია საბაზრო ფასები.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება კომპანიის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია 2022 წლის 21 აპრილს.

შპს „ლიდერ-ფუდის“ დირექტორი

შირიმი ვეკუა